დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

„ძლიერი სახელმწიფო, ძლიერი დიასპორა“

ივნისი, 2023

საქართველოს ელჩი ჯორჯიის შტატში მცხოვრებ ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა

1 ივნისს, ჯორჯიის შტატში ვიზიტის ფარგლებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, დავით ზალკალიანი, ჯორჯიაში მცხოვრებ ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა.

საქართველოს ელჩმა ისაუბრა დიასპორის აქტიური ჩართულობის მნიშვნელობაზე ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მიზნების მიღწევის პროცესში და აღნიშნა, რომ დიასპორასთან ურთიერთობა საქართველოს სახელმწიფოს მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. დიასპორის წარმომადგენლებმა ელჩს საკუთარი ინიციატივები წარუდგინეს და განიხილეს ჯორჯიის შტატსა და საქართველოს შორის ხალხთაშორისი თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები.

ქ. ათენში კულტურისა და განათლების ცენტრ „არმაზთან“ არსებული არტ ჯგუფის ნამუშევრების გამოფენა გაიმართა

3 ივნისს, ქ. ათენში, ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით, საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქართულ-ბერძნული კულტურისა და განათლების ცენტრ „არმაზთან“ არსებული არტ ჯგუფის ნამუშევრების გამოფენა გაიმართა.

ექსპოზიციაზე გამოფენილ იქნა ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, რომლებიც არტ ჯგუფის პედაგოგმა სოფიო ბელთაძემ, ცენტრის აღსაზრდელებმა და ვერნისაჟის ახალგაზრდა სტუმრებმა წარმოადგინეს.

მონაწილეებს ბავშვთა დაცვის დღე მიულოცა საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა, დარეჯან მუმლაძემ და მათ, საქართველოს საელჩოს სახელით, სამახსოვრო სიგელები გადასცა.

ანსამბლმა „კავკასია“ ქ. პირეოსში გამართულ თეატრალურ-ქორეოგრაფიულ წარმოდგენაში მიიღო მონაწილეობა

3 ივნისს, ქ. პირეოსის ღია თეატრში „ვეაკიო“ (ΒΕΑΚΕΙΟ) გაიმართა თეატრალურ-ქორეოგრაფიული წარმოდგენა „ინტერ-კულტურული მოგზაურობა პირეოსიდან საქართველოში და უკან“ («ΔΙΑΠΟΛΙΤΙΣΜΙΚΟ ΤΑΞΙΔΙ ΑΠΟ ΤΟΝ ΠΕΙΡΑΙΑ ΣΤΗΝ ΓΕΩΡΓΙΑ ΚΙ ΕΠΙΣΤΡΟΦΗ»), რომელშიც მონაწილეობა მიიღო ათენის ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლმა „კავკასია“, ეკა გიგოლაშვილისა და შოთა ცქვიტიშვილის ხელმძღვანელობით.

ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ქ. ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრის ,,კავკასია'' ხელმძღვანელმა, ავთანდილ მიქაბერიძემ.

ქართულმა ანსამბლმა ეს ღონისძიება საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიუძღვნა.

ღონისძიება ჩატარდა UNESCO-სთან არსებული ცეკვის საერთაშორისო საბჭოს (CID) ქ. პირეოსის განყოფილების (თავმჯდომარე კალიოპი ვარუდაკი) ორგანიზებით, ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრ „კავკასიასთან“ თანამშრომლობით.

თეატრალურ-ქორეოგრაფიული წარმოდგენა დაგეგმილი იყო ქ. პირეოსის მუნიციპალიტეტის კულტურული პროგრამის («Ημέρες Θάλασσας») ფარგლებში, რომელიც ტრადიციულად უკვე მე-8 წელია იმართება.

ქ. პურმერენდში ქართული თეატრალური დასის „ათინათი“ სპექტაკლის პრემიერა გაიმართა

3 ივნისს, ქ. პურმერენდში, პურმარინის თეატრის სცენაზე შედგა ქართული სამოყვარულო თეატრალური დასის „ათინათი“ მორიგი სპექტაკლის პრემიერა დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალის“ მიხედვით, რომლის რეჟისორია ბადრი წერედიანი.
სპექტაკლი დაიდგა ქართულ ენაზე, ნიდერლანდური სუბტიტრებით, რითაც ნიდერლანდელ მაყურებელსაც მიეცა შესაძლებლობა გაცნობოდა ქართველი კლასიკოსის უკვდავ გმირებს.
ნიდერლანდების სამეფოში სამოყვარულო თეატრი „ათინათი“ 2021 წელს თინათინ ახვლედიანმა დააფუძნა, რომელსაც ამჟამად ხელმძღვანელობენ ნათია და ბაია ახვლედიანები.
პრემიერას ესწრებოდნენ ადგილობრივი მაყურებლები, ნიდერლანდებში ქართული დიასპორის წარმომადგენლები და ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, დავით სოლომონია.

ქ. ათენში საბერძნეთში მოღვაწე ქართველი მწერლისა და მხატვრის ლიკა შანიძის შემოქმედებითი საღამო გაიმართა

4 ივნისს, ქ. ათენში, ქართულ-ბერძნული კულტურისა და განათლების ცენტრ „არმაზთან“ არსებულ ნიკო გომელაურის სახელობის ქართულ თეატრში გაიმართა საბერძნეთში მოღვაწე ქართველი მწერლისა და მხატვრის, ლიკა შანიძის საღამო, რომელიც ათენს კუნძულ კრეტადან ეწვია.

ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იყო ლიკა შანიძის ნახატების გამოფენა და ქართველი რეჟისორის, ნიკოლოზ ტყავაძის მინი სპექტაკლი, ლიკა შანიძის რომანის - „იმპერატორი და ატმის ყვავილები“ მიხედვით.

აუდიტორიას მისასალმებელი სიტყვით მიმართა და თეატრის შემოქმედებით ჯგუფს წარმატებები უსურვა ათენში საქართველოს საელჩოს უფროსმა მრჩეველმა, დავით კორძაძემ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები, ათენში საქართველოს საელჩოს თანამშრომლები და ბერძენი სტუმრები.

ქ. კორკში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

4 ივნისს, ქ. კორკში, ირლანდიაში ქართული სათვისტომოსა და ირლანდიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, Fitzgerald Park-ში გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ირლანდიაში არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „კავკასიონი“ და ქ. კორკში ახლად გახსნილი ქართული საკვირაო სკოლის „ფესვები“ აღსაზრდელებმა.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ირლანდიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გიორგი ზურაბაშვილმა, ქ. კორკის ლორდ მერმა დეირდე ფორდემ, ირლანდიაში ქართული სათვისტომოს თავმჯდომარემ ლელა შურუპოვამ და ქართული ეკლესიის წინამძღვარმა მამა გიორგი ტრაპაიძემ.

ღონისძიებაზე მისულ ადგილობრივ სტუმრებს და ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ ტრადიციული ქართული კერძები და ღვინო.

ქ. ნიურნბერგში ქართული კულტურის დღე ჩატარდა

4 ივნისს, ქ. ნიურნბერგში, ქართული კულტურის ცენტრ „ინკოს“ ორგანიზებით გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ქართული კულტურის დღე.

ღონისძიება მისალოცი სიტყვით გახსნა კულტურის ცენტრის თავმჯდომარემ, ქეთევან ბორუფკამ, რომელმაც სტუმრებს პრეზენტაციის სახით კულტურის ცენტრის მიერ ჩატარებული აქტივობები და კულტურის ცენტრის გუნდის ახალი წევრი, ცენტრის თანათავმჯდომარე, გიორგი გიორგობიანი წარუდგინა.

ღონისძიებაზე მაყურებლის წინაშე წარდგნენ კულტურის ცენტრის, საკვირაო სკოლის აღსაზრდელები და კულტურის ცენტრთან არსებული ცეკვის სტუდია „იბერია“, რუსუდან ფილაური-ფალუხის ხელმძღვანელობით.

საკვირაო სკოლის, კულტურის ცენტრისა და დიასპორის გამორჩეულმა წარმომადგენლებმა შეასრულეს სიმღერები და სხვადასხვა კლასიკური ნაწარმოებები ფორტეპიანოსა და ვიოლონჩელოზე. საღამოს განსაკუთრებული სტუმრები იყვნენ მუსიკოსების ოჯახი ქალაქ შტუტგარტიდან, საზოგადოება - Art Music Georgia e.V.-ს დამფუძნებლები, მრავალი საერთაშორისო პრიზების მფლობელი პიანისტები, ანა ნანუაშვილი, ბესო ნამჩევაძე და მათი შვილები - ლიზა ნამჩევაძე, რომელიც გერმანიის ფედერაციული ახალგაზრდული მუსიკალური კონკურსის „Jugend musiziert“ - პირველი პრემიის მფლობელი გახდა და ლეონარდო ნამჩევაძე, რომელმაც ვიოლონჩელოზე შესრულებული კონსტანტინ დიმიტრესკუს „რუმინული ცეკვის“ შემდეგ, როიალზე მერაბ ფარცხალაძის „ქართული ცეკვა“ შესთავაზა მსმენელს. კულტურულ პროგრამაში მონაწილეობა მიიღეს ასევე, ნიურნბერგში მოღვაწე კომპოზიტორმა, გოჩა იაშაღაშვილმა და მისმა ქალიშვილმა, ლიკა იაშაღაშვილმა.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს გენერალურმა კონსულმა ლევან ღვაჩლიანმა და მიუნხენის საკონსულოს უფროსმა მრჩეველმა, რუსუდან ვარდოშვილმა რომლებმაც მიულოცეს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და ისაუბრეს დიასპორის ჩართულობის როლზე ქვეყნის განვითარების პროცესში.

ღონისძიებას, ასევე, ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები, ქ. შტუტგარტში საქართველოს გენერალური საკონსულოს კონსული ზაქარია მეგრელიშვილი.

ქ. ლაგოდეხში ანსამბლ „ჰერულას“ კონცერტი გაიმართა

5 ივნისს, ქ. ლაგოდეხში, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ანსამბლ „ჰერულას“ კონცერტი გაიმართა, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებით არის დაკომპლექტებული.
ღონისძიებაზე დამსწრე სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ ჰერეთის კულტურულ-ეთნოგრაფიულ ტრადიციებს, ფოლკლორულ მუსიკას.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე კახა ჯამბურია, წარმომადგენლობითი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

ქ. მაინის ფრანკფურტში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო მიღება გაიმართა

7 ივნისს, ქ. მაინის ფრანკფურტში საქართველოს გენერალური საკონსულოს ორგანიზებით, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო მიღება გაიმართა, რომელსაც მუსიკალურად აფორმებდნენ საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი ხელოვანები - საოპერო მომღერლები: გიორგი დარბაიძე (ჰანოვერის ოპერა), ხვიჩა ხოზრევანიძე (დარმშტატის ოპერა), მამუკა მანჯგალაძე (დიუსელდორფის ოპერა), ასლან დიასამიძე (მაინის ფრანკფურტის ოპერა), ბექა გოგინაშვილი (აშშ), ფრანკფურტში მოღვაწე პიანისტი, ეკატერინე კინწურაშვილი და მუსიკოსი საქართველოდან - გივი ნატროშვილი.
ღონისძიება გახსნეს და დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ქ. მაინის ფრანკფურტში საქართველოს გენერალურმა კონსულმა გიორგი ტაბატაძემ და ჰესენის ფედერალური მხარის კანცელარიის წარმომადგენელმა უტე შტეტნერმა.
მიღების ფარგლებში ასევე შედგა გამოფენის - „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“- პრეზენტაცია.
მიღებას ესწრებოდნენ გენერალური საკონსულოს აკრედიტაციის ოლქის ფედერალური მიწების სამთავრობო და საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლები, ამ მიწებზე მოქმედი საკონსულო კორპუსის წევრები, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული წრეებისა და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ქ. ათენის 50-ე საჯარო სკოლაში სასწავლო წლის დასრულება აღინიშნა

8 ივნისს, ქ. ათენის 50-ე საჯარო სკოლის ქართველმა პედაგოგებმა და მოსწავლეებმა სასწავლო წლის დასრულება აღნიშნეს.
ღონისძიების ფარგლებში გაიმართა პოეზიის საღამო, რომელშიც სკოლის ქართული ენის პედაგოგების მადონა ჯავახიშვილისა და ხათუნა ლობჯანიძის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა.
დამსწრე საზოგადოების წინაშე ქორეოგრაფიული ნომრებით წარდგნენ ქართულ-ბერძნული კულტურისა და განათლების ცენტრ „არმაზის" აღსაზრდელები.
უკვე მეექვსე წელია, რაც ათენის 50-ე საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საბერძნეთის საჯარო სკოლებისათვის შემუშავებული ქართული ენის სწავლების საპილოტე პროგრამა, რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით ხორციელდება.
ღონისძიების ორგანიზატორებს და სტუმრებს მიესალმა საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული, დარეჯან მუმლაძე, რომელმაც პედაგოგებს აკადემიური წლის წარმატებით დასრულება მიულოცა და ისაუბრა ბერძნულ საჯარო სკოლაში ქართული ენის სწავლების საპილოტე პროგრამის გამართულად ფუნქციონირების მნიშვნელობაზე.
ღონისძიებას ესწრებოდა ათენში საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი, ანი უძილაური, ქართულ-ბერძნული კულტურისა და განათლების ცენტრ „არმაზის“ წარმომადგენლები და ათენის 50-ე საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლები.

ქ. დუბლინში ქართული საკვირაო სკოლა „ლამპარის“ დაარსების 15 წლის იუბილე აღინიშნა

9 ივნისს, ქ. დუბლინის სიტი ჰოლში, დუბლინში არსებული ქართული საკვირაო სკოლა „ლამპარის“ ორგანიზებით და ირლანდიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ხელშეწყობით, დუბლინში საკვირაო სკოლა „ლამპარის“ დაარსების 15 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება გაიმართა.
საკვირაო სკოლის წარმომადგენლებს აღნიშნული დღე მიულოცეს ირლანდიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, გიორგი ზურაბაშვილმა და დუბლინში ვიზიტით მყოფმა, გორისა და ატენის ეპარქიის მიტროპოლიტმა ანდრიამ (გვაზავა).
ირლანდიაში მცხოვრებ ახალგაზრდა თანამემამულეებში ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისათვის გაწეული ღვაწლისათვის, სკოლის დამაარსებელს და დირექტორს ანელი აწკარუნაშვილს, ასევე, სკოლის მასწავლებლებს - ქეთევან ჯიღაურს, ნათია ლობჟანიძეს, მარიამ ოდიშელიძეს, მარი გუგუჩიას, გურამ ლალიაშვილს, რუსუდან ბენდელიანს, თეა ლიპარტელიანს, ეკა ფეიქრიშვილს, ნუნუ ავგროზაშვილს და მაია აწკარუნაშვილს, საქართველოს საელჩოს სახელით გადაეცათ მადლობის სიგელები.
ღონისძიებაზე გამოიფინა საკვირაო სკოლის მოსწავლეების ნახატები.

საქართველოს ელჩის შეხვედრა კახის რაიონში მცხოვრებ ქართულ დიასპორასთან

10-11 ივნისს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონს სოფელი ალიბეგლოს წმ. ნინოს სახელობის ტაძარსა და კახის რაიონის წმ. გიორგის სახელობის ტაძარში შესრულდა ლიტურგია, რომლსაც ესწრებოდნენ კახის რაიონში მცხოვრები მართლმადიდებელი ქართველები.
ლიტურგიის დასრულების შემდეგ ეკლესიის ეზოში შეკრებილ მრევლს, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ზურაბ პატარაძე და ქ. განჯაში საქართველოს გენერალური კონსული, ნიკოლოზ იაშვილი შეხვდნენ და საკონსულო საკითხებზე გაუწიეს კონსულტაცია. სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან ოჯახებს, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს საქართველოს საელჩოს და ქ. განჯაში საქართვლოს გენერალური საკონსულოს სახელით სასაჩუქრე ამანათები გადაეცათ.
კახის რაიონში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს ელჩმა, ასევე, შეხვედრა გამართა კახის რაიონული ადმინისტრაციის უფროსთან, მუსა შექილიევთან, სოფ. ალიბეგლოს კულტურის სახლისა და კახის რაიონის ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრის ხელმძღვანელებთან და თანამშრომლებთან.

ქ. ათენში ანსამბლ „კავკასიას“ კონცერტი გაიმართა

11 ივნისს, ქ. ათენის თეატრ „კნოსოსში“, ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრის „კავკასია“ ორგანიზებით, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად კულტურულ ცენტრთან არსებული ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლის „კავკასია“ კონცერტი გაიმართა.
ანსამბლის მოცეკვავეები და ვოკალური გუნდის მომღერლები მაყურებლის წინაშე მრავალფეროვანი პროგრამით წარდგნენ.
კონცერტის დასრულების შემდეგ, საბერძნეთში საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა, დარეჯან მუმლაძემ მადლობა გადაუხადა განათლებისა და კულტურის ცენტრის „კავკასია“ ხელმძღვანელს, პროფესორ ავთანდილ მიქაბერიძეს, როგორც ღონისძიების ორგანიზებისთვის, ისე წლების მანძილზე ქართული კულტურის პოპულარიზაციის ხელშეწყობისთვის.
საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ქართული ქორეოგრაფიის დღე მიულოცა და წარმატება უსურვა ანსამბლის ხელმძღვანელებს ეკა გიგოლაშვილს და შოთა ცქვიტიშვილს და, ასევე, ვოკალურ გუნდს და მის ლოტბარს, მამუკა ინაძეს.

მერილენდის ოლქში სპექტაკლი „პატარა პრინცი“ გაიმართა

11 ივნისს, მერილენდის ოლქში, „ქართული მემკვიდრეობის აკადემიასთან“ არსებულმა ახალგაზრდულმა ქართულმა თეატრმა, მაია მონროს ხელმძღვანელობით, სპექტაკლი „პატარა პრინცი“ წარმოადგინა.
წარმოდგენაში მონაწილეობდნენ აკადემიის სტუდენტები, აკადემიის მომღერალთა ჯგუფი და ქართული ცეკვის ანსამბლი „ალადასტური“.

ქ. დუბლინში ქართული კულტურის დღეებისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა

11 ივნისს, ქ. დუბლინში, ქართული კულტურის ცენტრი - ქართული დიასპორის ორგანიზებით და საქართველოს საელჩოს თანაორგანიზებით, დან ლირის ბიბლიოთეკაში ქართული კულტურის დღეებისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.
ღონისძიებაზე გამოფენილი იყო ირლანდიაში მცხოვრები ქართველი ბავშვების მიერ შექმნილი ნახატები და ასევე იქ მცხოვრები ქართველი მწერლების წიგნები.
სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ირლანდიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, გიორგი ზურაბიშვილმა, დიასპორული ორგანიზაციის - „ქართული დიასპორა ირლანდიაში“ ხელმძღვანელმა, ლელა შურუპოვამ და ქართულ-ირლანდიური პოეზიის წიგნის - „ხიდი“ თანაავტორმა, დესმუნ სვანმა.
ირლანდიაში საქართველოს ელჩმა ქართული კულტურის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისათვის ქართული სიმღერის ანსამბლის “Mixed Melodies” დამაარსებელს ზიზი ნანობაშვილს, საქართველოს საელჩოს სახელით, მადლობის სიგელი გადასცა.
აღნიშნულის შემდგომ გაიმართა ქართული პროზისა და პოეზიის მხატვრული კითხვის საღამო.

ქ. შტუტგარტში გერმანიაში მცხოვრები ქართველი მუსიკოსის ზაზა მიმინოშვილის ბენდის კონცერტი გაიმართა

14 ივნისს, ქ. შტუტგარტში ვიურტემბერგის სამეფო რეზიდენციის (Das Neu Schloss Stuttgart) დარბაზში, გერმანიაში მოღვაწე ქართველი მუსიკოსის, ზაზა მიმინოშვილის ბენდმა - „Zwie-შენ", მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, რომელიც ქ. შტუტგარტში საქართველოს გენერალური საკონსულოს ორგანიზებით ჩატარდა.

მიღება გახსნეს და დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ქ. შტუტგარტში საქართველოს გენერალურმა კონსულმა, ლევან ღვაჩლიანმა და ქ. შტუტგარტის მერიის ინტეგრაციის პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, აიშე იოსბაბაჯანმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ გენერალური საკონსულოს დაფარვის ფედერალური მიწების მაღალი თანამდებობის პირები, საკონსულო დაწესებულებების ხელმძღვანელები, აკადემიური და ბიზნეს წრეების წარმომადგენლები და ქართული დიასპორის წევრები.

ქ. ჰაიდელბერგში ქართული კულტურის დღეები გაიმართა

16-17 ივნისს, ბადენ-ვიურტემბერგის ფედერალურ მიწაზე, ქ. ჰაიდელბერგში, ქართული დიასპორის წარმომადგენლის, ნინო ფუტკარაძის ინიციტივით, ჰაიდელბერგის ყოველწლიური სახალხო ფესტივალის (Handschuhsheimer Krewe) ფარგლებში გაიმართა ქართული კულტურის დღეები.

ღონისძიება მიზნად ისახავდა ქართული კულტურისა და ტრადიციების შესახებ ცნობადობის ამაღლებასა და საქართველოს პოპულარიზაციას.

კულტურის დღეების ფარგლებში სტუმრებს საშუალება მიეცათ, საგამოფენო სივრცეში დაეთვალიერებინათ ქართველი ხელოვანების მიერ შექმნილი ნახატები, მინანქრის სამკაულები და ეროვნულ მოტივებზე დამზადებული სხვადასხვა სახის ნაკეთობები, პირადად გაცნობოდნენ საქართველოდან საგანგებოდ მოწვეულ მინის მხატვრულ დიზაინერს, ქეთევან მექერიშვილს. ასევე, დაეგემოვნებინათ ეროვნული კერძები და ღვინო, გაცნობოდნენ პურის თონეში ცხობის ტრადიციას.

ფესტივალზე ქართული ცეკვის ნომრებით მაყურებლის წინაშე წარდგა ცაგერის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლეჩხუმი“.

ღონისძიებას ესწრებოდნენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს გენერალური კონსული, ლევან ღვაჩლიანი, ქ. ჰაიდელბერგის მერიის მაღალი თანამდებობის პირები, გერმანიის კულტურისა და საგანმანათლებლო წრეების, მასმედიის, ადგილობრივი საზოგადოებისა და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ქ. ათენში საბავშვო სპექტაკლი „ცხოველების ფერმა“ დაიდგა

17 ივნისს, ქ. ათენში, ქართულ-ბერძნული კულტურისა და განათლების ცენტრ „არმაზთან“ არსებულმა საბავშვო თეატრმა, ნიკოლოზ ტყავაძის ხელმძღვანელობით, წარადგინა სპექტაკლი „ცხოველების ფერმა“.
წარმოდგენას „არმაზის“ წევრები და ქართული დიასპორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ანსამბლმა „იმედი“ ქ. ანტვერპენში ჩატარებულ საზაფხულო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა

17 ივნისს, ქ. ანტვერპენში, ანტვერპენის მერიის თანადგომით ჩატარდა საზაფხულო ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო დიასპორულ ორგანიზაციასთან - ქართულ შემოქმედებით გაერთიანება „იმედთან“ არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „იმედი“, იმედა ყავლაშვილისა და ხათუნა მახარაძის ხელმძღვანელობით.

ქ. ბუქარესტში „ვეფხისტყაოსნის“ საჯაროდ კითხვის დღე აღინიშნა

17 ივნისს, ქ. ბუქარესტში, რუმინეთში საქართველოს საელჩოს ინიციატივითა და ორგანიზებით, ბუქარესტის მეფე მიჰაი I-ის სახელობის ცენტრალურ პარკში, შოთა რუსთაველის ბიუსტთან, აღინიშნა „ვეფხისტყაოსნის“ საჯაროდ კითხვის დღე. ღონისძიებაში საქართველოს რუმინელ მეგობრებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს დიასპორის წარმომადგენლებმა.

„ვეფხისტყაოსანი“ 1956 წელს თარგმნილია რუმინულ ენაზე, მწერლისა და მთარგმნელის ვიქტორ კერნბახის მიერ. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო მთარგმნელის შვილმა, პაულ კერნბახმა, რომელმაც წაიკითხა ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“ რუმინულ ენაზე.

ანსამბლმა „კავკასიამ“ ქართული კულტურა საერთაშორისო ფესტივალებზე წარადგინა

17-18 ივნისს, ქ. ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრ „კავკასიასთან“ არსებულმა ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო „ელენი ლამიატის“ სახელობის ცეკვისა და მუსიკის 27-ე სართაშორისო ფესტივალში.

კონცერტს ესწრებოდნენ როგორც მასპინძელი, ასევე მეზობელი მუნიციპალიტეტების მერები, პელოპონესის ვიცე-გუბერნატორი, ხელოვნებისა და სხვადასხვა ასოციაციების წარმომადგენლები, ბიზნესმენები, პოლიტიკოსები, დეპუტატები და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

18 ივნისს კი ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო იტეას სახელოვნებო ლაბორატორიის ცეკვის საერთაშორისო ფესტივალში, რომელსაც 1500-მდე სტუმარი ესწრებოდა.

ქ. ოკლაჰომა-სიტიში ქართული ცეკვისა და სიმღერის კონცერტი გაიმართა

18 ივნისს, ქ. ოკლაჰომა-სიტიში, წმ. გიორგის სახელობის ბერძნულ მართლმადიდებლურ ტაძარში, საკონცერტო ტურის ფარგლებში, პენსილვანიაში წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის სახელობის ქართული კულტურის ცენტრთან არსებულმა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა კონცერტი გამართა.

ღონისძიებას უმასპინძლა ჩრდილოეთ ამერიკაში საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლურმა ეკლესიამ და წმ. იაკობ მოციქულის სახელობის მამათა მონასტერმა (The Sacred Monastery of Saint Iakovos), რომელიც არის ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიის ეპისკოპოსის, საბას (ინწკირველი) დაქვემდებარების ქვეშ.

კონცერტს ესწრებოდნენ ამერიკელი, ბერძენი, უკრაინელი სტუმრები და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.



ქ. ბარსელონას ქართულ საკვირაო სკოლაში სასწავლო წლის შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა

18 ივნისს, ქ. ბარსელონას წმიდა ნინოს სახელობის სამრევლოსთან არსებულ „წმინდა ანთიმოზ ივერიელის“ სახელობის ქართულ საკვირაო სკოლაში (ხელმძღვანელი არქიმანდრიტი ლუკა ფალავანდიშვილი), სკოლის პედაგოგების ნანა მახარობლიშვილისა და თამარ კვირიკაშვილის ორგანიზებით გაიმართა სასწავლო წლის შემაჯამებელი ყოველწლიური ღონისძიება „კიდევაც დაიზრდებიან“.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ანსამბლების „ციცინათელები“, „მერცხლები“, „განთიადი“, „ბახტრიონი“, „მარტყოფი“, „მარაბდა“, „დიდგორი“, „ბასიანი“, „300 არაგველი“ მოსწავლეებმა.

საღამოს მუსიკალურად აფორმებდა, მუსიკალური სტუდია „გამა“ (ხელმძღვანელი მაია გუბელაძე), ქართული ხალხური საკრავების ანსამბლი „ვაზი“ (ხელმძღვანელი იოსებ სინჯიკაშვილი) და ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი „ქართველო“ (ქორეოგრაფი გიორგი ზირაქაშვილი).

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. ბარსელონაში საქართველოს გენერალური კონსული ალექსანდრე ჭკუასელი, ვიცე-კონსული ლიკა ახალბედაშვილი და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პარიზის ქართულმა საკვირაო სკოლამ სასწავლო წლის შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა

18 ივნისს, ქ. პარიზში, „ქართველთა კულტურის კერა - ლაზთან“ არსებულმა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პარიზის ქართულმა საკვირაო სკოლამ 2022-2023 სასწავლო წლის შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა.
ღონისძიების ფარგლებში, საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს საკუთარი ნაშრომები სხვადასხვა საგანში, ჩატარდა სწრაფი კითხვის კონკურსი. ასოციაციასთან არსებულმა ცეკვის ანსამბლმა „ლაზი“ (ქორეოგრაფები უჩა ბაკურაძე და ლალი ჯაშიაშვილი) შეასრულა ქართული ცეკვები.
ღონისძიებას ესწრებოდნენ „ქართველთა კულტურის კერა - ლაზის“ წევრები და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ქ. რომში საქველმოქმედო კონცერტი ჩატარდა

18 ივნისს, ქ. რომში, ჩრდილოეთ იტალიაში წყალდიდობით დაზარალებულთა დასახმარებლად, გაიმართა ქალთა ვოკალური ანსამბლის „Le Vie Dei Canti“ მიერ ორგანიზებული საქველმოქმედო კონცერტი. ანსამბლის დირიჟორია რომში მოქმედი კულტურული ასოციაციის „რომის ქართული დიასპორა“ ხელმძღვანელი, ეკა კაჭარავა. კონცერტის მთლიანი რეპერტუარი იყო ქართულ ენაზე. შესრულდა საგალობლები, ხალხური და ქალაქური სიმღერები, სხვადასხვა კომპოზიტორთა მიერ შექმნილი ნაწარმოებები.
კონცერტს ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები და იტალიელი სტუმრები.

ქ. ფლორენციის ქართულმა საკვირაო სკოლამ სასწავლო წლის დასასრული საზეიმოდ აღნიშნა

18 ივნისს, ქ. ფლორენციის ქართულ საკვირაო სკოლაში 2022-2023 სასწავლო წლის შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა.
საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა შეასრულეს საქართველოს ჰიმნი და დადგეს თეატრალიზებული წარმოდგენა იაკობ გოგებაშვილის მოთხრობის - „თხა და გიგოს“ მიხედვით.
ღონისძიების დასასრულს ფლორენციის წმინდა ნინოს სახელობის სამრევლო ტაძრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა მამა ანდრია ლაცაბიძემ საკვირაო სკოლის მოსწავლეებს 2023 სასწავლო წლის ატესტატები გადასცა.

ანსამბლმა „Georgian Folk“ საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო

20 ივნისს, ქ. ბარსელონაში, ფოლკლორულმა ანსამბლმა „Georgian Folk“ მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებულ საზეიმო მიღებაში, რომელიც ქ. ბარსელონაში საქართველოს გენერალური საკონსულოს ორგანიზებით ჩატარდა.
ღონისძიების ფარგლებში ასევე მოეწყო გამოფენა – „ქართული ანბანის სამი სახეობა“.
მოწვეულ სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ ქართული სამზარეულო და ღვინო.
ღონისძიება გახსნა და მოწვეულ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ქ. ბარსელონაში საქართველოს გენერალურმა კონსულმა, ალექსანდრე ჭკუასელმა.
ოფიციალურ მიღებას ესწრებოდნენ როგორც ცენტრალური, ასევე რეგიონალური ხელისუფლების მაღალი რანგის თანამდებობის პირები, ქ. ბარსელონაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ასევე ადგილობრივი კულტურის, ხელოვნების, სპორტის, ბიზნეს წრეების და ქართული დიასპორული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ანსამბლმა „საქართველო“ საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა

20 ივნისს, ქ. ვასენარში, ვიტენბურხის სასახლეში, ანსამბლმა „საქართველო“ მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო მიღებაში, რომელიც ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით ჩატარდა.

ღონისძიების ფარგლებში აღინიშნა ქვეყნის სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 105-ე წლისთავი.

მიღება გაიხსნა საქართველოსა და ნიდერლანდების ეროვნული ჰიმნებით, რომელიც შეასრულა ანსამბლმა „საქართველო“.

დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, დავით სოლომონიამ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ნიდერლანდების სამეფოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, ქ. ჰააგაში განთავსებული საერთაშორისო ორგანიზაციების, ნიდერლანდების საჯარო და კერძო სექტორისა და ქართული სათვისტომოს წარმომადგენლები.

ქ. კატანიაში ოპერა „დაისის“ იტალიური პრემიერა გაიმართა

21 ივნისს, ქ. კატანიაში, მასიმო ბელინის სახელობის საოპერო თეატრის სცენაზე გაიმართა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისის“ იტალიური პრემიერა.

წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო ფლორენციის წმ. ნინოს სამრევლო ტაძართან არსებულმა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა „ნანილა“. ცანგალას პარტია შეასრულა იტალიაში მოღვაწე ცნობილმა ქართველმა ბანმა, გიორგი ანდღულაძემ.

მასიმო ბელინის საოპერო თეატრის სამხატვრო საბჭოსა და დირექტორატის გადაწყვეტილებით, „დაისი“ თეატრის რეპერტუარში დარჩება და მას რეგულარულად წარმოადგენენ საოპერო თეატრის სცენაზე.

პროექტი განხორციელდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, ბადრი მაისურაძის ინიციატივით, კატანიაში მუსიკის საერთაშორისო დღის აღსანიშნავი ღონისძიებების ფარგლებში.

პრემიერას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ბადრი მაისურაძე, ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ირინე ლომინაძე, ქართული დიასპორის წარმომადგენლები და უცხოელი სტუმრები.



ქ. ათენში საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი „დიონისე 2023“ ჩატარდა

23-25 ივნისს, ქ. ათენში, ქართულ-ბერძნული თეატრალური კულტურული ორგანიზაცია „დიონისეს“ ორგანიზებით საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი „დიონისე 2023“ ჩატარდა.

ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს თეატრალურმა დასებმა საქართველოდან, შვეიცარიიდან და საბერძნეთიდან, ასევე, თეატრალურმა დასმა ქ. თესალონიკიდან.

25 ივნისს გაიმართა ფესტივალის საზეიმო დახურვა და მონაწილეების დაჯილდოების ცერემონია.

დასკვნით ღონისძიებაზე თეატრალური ფესტივალის სტუმრებს სიტყვით მიმართა საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა დარეჯან მუმლაძემ. მან გამოსვლაში აღნიშნა, რომ თეატრალურ ფესტივალს საფუძველი ორი წლის წინ ჩაეყარა, როდესაც პროექტი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერის“ ფარგლებში დაფინანსდა.

საქართველოს საელჩოს წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ორგანიზაციის ხელმძღვანელს და თეატრალურ დასს პროექტის წარმატებით გაგრძელებისთვის და სამომავლოდაც აქტიური თანმშრომლობის იმედი გამოხატა.

ფესტივალს ესწრებოდნენ საქართველოდან ჩამოსული სტუმრები და ათენის ქართული დიასპორა.

ქ. ათენში სპექტაკლის „აცეკვებული სამართალი“ პრემიერა გაიმართა

25 ივნისს, ქ. ათენში, ქართულ-ბერძნული კულტურისა და განათლების ცენტრ „არმაზთან“ არსებული ქართული თეატრის სცენაზე შედგა ხათუნა კაპანაძის სცენარითა და რეჟისურით დადგმული სპექტაკლის „აცეკვებული სამართალი“ პრემიერა.
წარმოდგენას ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები და ბერძენი სტუმრები.



ქ. ათენში ბერძნულ-ქართული კულტურული ასოციაციის ორგანიზებით კონცერტი გაიმართა

26 ივნისს, ქ. ათენის ფილარმონიის მცირე დარბაზში, ბერძნულ-ქართული კულტურული ასოციაციის ფორტეპიანოს ჯგუფმა, ფორტეპიანოს პედაგოგის მაია გაუარაშვილის ხელმძღვანელობით, 2022-2023 სასწავლო წლის საანგარიშო კონცერტი სახელწოდებით „მუსიკის ჰანგები ათენში“ გამართა.
კონცერტზე ფორტეპიანოს ჯგუფის აღსაზრდელებმა ბახის, მოცარტის, შოპენის და შუბერტის მუსიკალური ნაწარმოებები, ასევე, ცნობილი ბერძენი და ქართველი კომპოზიტორების - მანოს ხაძიდაკისის, მიკის თეოდორაკის და რევაზ ლაღიძის კომპოზიციები შეასრულეს.
ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ბერძენმა მუსიკოსმა ვასილის კანარასისმა და ბერძნულ-ქართული კულტურული ასოციაციის ბაზაზე არსებულმა ქორეოგრაფიულმა და ვოკალურმა ანსამბლმა „ივერიელები’’, რომელმაც მაყურებლის წინაშე შეასრულა ქართული ცეკვა „სამაია“ და ქართული საგალობლები.
აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ქართული დიასპორული ორგანიზაციის შემოქმედებითი საღამო ათენის ფილარმონიაში გაიმართა.

თურქეთში ქართული ფოლკლორის ფესტივალი გაიმართა

29 ივნისს, თურქეთის ქ. ბალიქესირის რაიონ სოფ. ჯუმჰურიეთის განვითარების, კეთილმოწყობისა და კულტურის ასოციაციის ორგანიზებითა და ქ. ანკარაში საქართველოს საელჩოს ჩართულობით, გაიმართა ქართული ფოლკლორის ფესტივალი.

ღონისძიებაზე ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა შეასრულეს ქართული ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ნომრები.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გიორგი ჯანჯღავამ, რომელმაც ისაუბრა საქართველოსა და თურქეთს შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობისა და ისტორიული კავშირების მნიშვნელობაზე. საქართველოს ელჩმა, აგრეთვე, ხაზი გაუსვა ქართული დიასპორისა და სახალხო დიპლომატიის როლს, დიასპორის წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების განმტკიცებისა და საქართველოს პოზიტიური იმიჯის წარმოჩენის საქმეში შეტანილი წვლილისთვის და ბალიქესირის რაიონ სოფ. ჯუმჰურიეთის განვითარების, კეთილმოწყობისა და კულტურის ასოციაციის ხელმძღვანელს გადასცა მადლობის სიგელი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები, ადგილობრივი მოსახლეობა და თურქეთის მასშტაბით მოქმედი ქართული დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელები და წარმომადგენლები.

29 ივნისს, ბალიქესირის რეგიონში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს ელჩმა შეხვედრები გამართა თურქეთის სოფ. არმუთალანის ურთიერთსოლიდარობისა და კულტურის და ასევე, ქ. ბალიქესირის კავკასიურ-ქართული კულტურისა და ურთიერთდახმარების ასოციაციების ხელმძღვანელებთან და წევრებთან.

შეხვედრებზე, მხარეთა მიერ, განხილულ იქნა ერთობლივი კულტურული პროექტების განხორციელების შესაძლებლობები და თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები.

ქ. ფრანკფურტში გაიმართა ქართული საღამო დევიზით - „საქართველო და ევროპა“

30 ივნისს, ქ. ფრანკფურტში, კოპერნის ევანგელისტური სამრევლოსა და საზოგადოება „გეორგიკას“ ორგანიზებით გაიმართა ქართული საღამო დევიზით - „საქართველო და ევროპა“.

ღონისძიების ფარგლებში პედაგოგმა ლუც კუნცემ ისაუბრა 2023 წლის მაისში საქართველოში მოგზაურობისა და თელავის საგანმანათლებლო ცენტრში „ახალი სიცოცხლე“ ვიზიტის შესახებ, რომელთანაც „ოიკის რაიონს“ 20 წელზე მეტია საგანმანათლებლო პარტნიორობა აქვს.

საზოგადოება Georgica e.V.-ს წევრმა, ჰანეს ვირთმა დამსწრე საზოგადოებას უძველესი მითების სახით მოუთხრო საქართველოსა და ევროპის კულტურული ურთიერთობის ხანგრძლივი ისტორიის დასაწყისზე. ნინო ხალვაში-ვირთმა და ვიქტორია კირშკემ პიანინოზე ქართველი კომპოზიტორის, გია ყანჩელის მინიატურები შეასრულეს. ლექსი „ყვითელი ფოთლები“ ქართულად და გერმანულად თამარა კირშკე-ჯერენაშვილმა წაიკითხა. დავით გაბელიამ და მისმა შვილებმა - ლიზი, სესილი და გიორგი გაბელიებმა შეასრულეს ქართული ფოლკლორული ნაწარმოებები სალამურსა და ფანდურზე. გამორჩეული იყო დანტე ლეონარდო ნაპოლის სიმღერა, პიანინოზე ნინო ხალვაში-ვირთის თანხლებით, ბეთჰოვენის „Ode an die Freunde“ და მოცარტის "Ave Verum".

ტექნიკური ხარვეზის გამო, მაისის „დიასპორულ საინფორმაციო ბიულეტენში“ გამოტოვებული ღონისძიებები შეექნება მიმდინარე ნომერში

ქ. ნიურნბერგში ლიტერატურული საღამო გაიმართა

7 მაისს, ქ. ნიურნბერგში, გოსტენჰოფის სამეზობლო სახლში, ქ. ნიურნბერგის ქართული კულტურის ცენტრ „ინკოს“ ორგანიზებით გაიმართა ლიტერატურული შუადღე, რომელიც ქ. ნიურნბერგში 2015 წლიდან, წელიწადში ორჯერ ტარდება.

ლიტერატურული შუადღე, კულტურის ცენტრის თავმჯდომარემ, ქეთევან ბორუფკამ გახსნა. ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს თავისი შემოქმედება გააცნეს ნიურნბერგში მცხოვრებმა ახალგაზრდა ხელოვანებმა.

ღონისძიებაზე მსმენელს საკუთარი შემოქმედება გააცნეს ვახო ჯაფარიძემ, ვერიკო მოდებაძემ და ლიზა ბახტურიძემ, რომელმაც საკუთარი და კლასიკოსი მწერლების ლექსები წაიკითხა. ახალგაზრდა მწერლებმა ღონისძიება მუსიკალურად გააფორმეს.

ლიტერატურულ შუადღეზე მსმენელის წინაშე ლექსებით წარსდგნენ ქართული საკვირაო სკოლის აღსაზრდელებიც - ანასტასია ბიწაძე, ნია გიორგობიანი და ბარბარე ნადირაძე.

ქ. სანქტ-პეტერბურგში შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარდა

19 მაისს, ქ. სანქტ-პეტერბურგში, შოთა რუსთაველის ძეგლთან, კალინინსკის რაიონის ადმინისტრაციისა და კალინინსკის რაიონის ბიბლიოთეკების ქსელის ორგანიზებით ღონისძიება «Руставелевские чтения» ჩატარდა.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ქ. სანქტ-პეტერბურგის ცენტრალური რეგიონის 122-ე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კურსის მოსწავლეებმა და მასწავლებელმა ხათუნა ბოჭორიშვილმა.

ქ. პარიზში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

20 მაისს, ქ. პარიზის მე-17 კვარტლის მერიის, ჟაკ შირაკის სახელობის დარბაზში, საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს „ქართველთა კულტურის კერა - ლაზთან“ არსებულმა ქართული ცეკვის ანსამბლმა „მარანი“, მომღერლებმა დავით სუმბაძემ, ნონა ჯავახიძემ და ელგა ფორჩხიძემ.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა Art Gallery Noblesse-ის მიერ მოწყობილი ქართველი მხატვრების ტილოების გამოფენა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გოჩა ჯავახიშვილი, საფრანგეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლები და უცხოელი სტუმრები.

ქ. იზმირში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარდა

26 მაისს, ქ. იზმირის ქემალფაშას რაიონში, იზმირის ქართული მეგობრობის ასოციაციის, ქ. ანკარაში საქართველოს საელჩოსა და ქ. იზმირში საქართველოს საპატიო კონსულის ოფისის თანაორგანიზებითა და ჩართულობით, გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ქართული საღამო.

ღონისძიება გაიხსნა საქართველოსა და თურქეთის ეროვნული ჰიმნებით, რის შემდეგაც ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა შეასრულეს ქართული ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ნომრები. ამასთან, ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ დაეგემოვნებინათ ქართული ტრადიციული კერძები.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გიორგი ჯანჯღავამ. საქართველოს ელჩმა, აგრეთვე, ხაზი გაუსვა ქართული დიასპორისა და სახალხო დიპლომატიის როლს და დიასპორის წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების განმტკიცებისა და საქართველოს პოზიტიური იმიჯის წარმოჩენის საქმეში შეტანილი წვლილისთვის.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები, ადგილობრივი მოსახლეობა, იზმირსა და მის შემოგარენში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები და ქართული ისტორიული დიასპორის წარმომადგენლები.

ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს ელჩი დაესწრო იზმირის ქართული მეგობრობის ასოციაციისა და თურქული მხარის მხარდაჭერითა და ხელშეწყობით, იზმირის სახალხო განათლების ცენტრში მოქმედი ქართული ენის შემსწავლელი კურსის ღია გაკვეთილს და მონაწილეობა მიიღო კურსის მონაწილეთათვის ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატების გადაცემის საზეიმო ცერემონიაში.

ქ. ბრესტში ია გოდერძიშვილის თიხის ნამუშევრების საქველმოქმედო გამოფენა გაყიდვა გაიმართა

27 მაისს, ქ. ბრესტში, ასოციაცია პატარა საქართველო სან-ბრიუში/Ass.Petite Georgie à Saint-brieuc-ის მხარდაჭერით, ჩატარდა ია გოდერძიშვილის თიხის ნამუშევრების საქველმოქმედო, პერსონალური გამოფენა გაყიდვა.

შემოსული თანხა მთლიანად გადაირიცხება ასოციაციის საქმიანობის მხარდასაჭერად.

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ჩიტაძის ქ. 4, თბილისი
0118, საქართველო

ტელ.: +995 32 294 50 00

diaspora@mfa.gov.ge

/mfageorgia

/mfageorgia

/MFAGEO